წელიწადი მეორე. № 10. 9 მარტი 1878 წ.

ხელის-მოწერა:

ტფილისს, «ივერიის» რედაქციაში მთაწმინდის ქუჩაზე, შიოევის სახლების ზემოდ, სახლი № 5.

ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

—

განცხადება მიიღება ქართულს და რუსულს ენაზედ.

«ივერიის» ფასი

ერთის წლისა, გაგზავნით თუ გაუგზავნ. 7 მ. —
ნახევარის წლისა . . . . . . . . 3 მ. 50 კ.
თითო ნომერი . . . . . . . . . . . 15 კ.

—

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ წერილებს.

# საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

გაზეთი **ივერია** გამოდის **1878** წელს იმავე სახით, იმავე პროგრამმით და ისევ კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.

ფასი ერთის წლისა, გაგზავნით თუ გაუგზავნელად, შვიდი მანეთია.

ხელის-მოწერა მიიღება დილის ათის საათიდამ ნაშუადღევის ორს საათამდე ტფილისში, «ივერიის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება მთაწმინდის ქუჩაზედ, შიოევის სახლების ზემოდ, ქანანოვის სახლში, **№ 5.**

ქუთაისში ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა შეუძლიანთ დაიბარონ გაზეთი «ივერია» ამ ადრესით: **Въ Тифлисъ, въ редакцію газеты ИВЕРІЯ.**

**საძიებელი** I. საქართველოს მატიანე: («ივერიის» კორრესპონდენციები). ქართლიდამ, გურიიდამ.—II. საპოლიტიკო მიმოხილვა, ინგლისი, ოსმალეთი ავსტრია.—III. თაგვებისა და კატების ომი, ლექსი რ. ერისთვისა.—IV. სასამართლოს მატიანე, საქმე ანდრიევსკის ქალის მოკვლისა.—V შვიდი მოხუცებულის გამზისა (დასასრული).—VI. განცხადება.

## საქართველოს მატიანე

### („ივერიის“ კორრესპონდენციები)

**ქართლი.** კაცი ყურს ნუ მოიყრუებს, ყურს ნუ გაისქელებს თორემ ძნელიღაა მისი გონებაში ჩაგდება. «ივერიაში» იყო დაბეჭდილი გორიდგან კორრესპონდენცია № 6-ში, რომ საყასბოები გორში ცუდ ალაგას არისო, ფაშვებს ჭყრიან ქუჩაშიო, სისხლს იქვე აქცევენო, ფეხით გააქთ და გამოაქთო. შემდეგ „დროებაში“ იყო დაბეჭდილი ამ საგანზედვე, მაგრამ შენ უგდე ყური, თუ ამათ მარჯვენა ყურიდგან მარცხენაში გაუშვეს!... ერთხელ უნდა ამათ გახურებული შამფური ჩასტაკოს ვინმემ, რომ ეგების ყურები გაუთხელდეთ და გაიგონონ, რომ ქალაქი იმიტომ ირჩევს წევრებს, იმიტომ უნიშნავს საცხოვრებელს ჯამაგირს, რომ ქალაქზედ ყურადღება იქონიონ, გაასუფთავონ. ბატონო, რა ძნელია ამის მოხერხება! წყლის პირზეა სახლები უფ. მ. გაბუნიასი, სადაც უწინ იყო საყასბოები; მომართულია საყასბოსთვის: წყლისკენ აქვს კარი, რომ გადაჰყარონ ფაშვები, სისხლი გადააქციონ და არის ქალაქს გარეთ, განაპირას. დავიჯერო ამან არ მიაქირავოს ქალაქს ეს სახლები? მაგრამ ვინ არის ყურის მგდებელი. მე არ დავიჯერებდი თუ მართლა სისხლს და ფაშვებს ქუჩაში აქცევდნენ: ერთხელ საქმისთვის სოფლიდგან ღამე ჩამოველ, ცხენი დუქანში დავაბი და ბინაზედ წაველი—სასტუმროში. აქეთ მომიხდა გამოვლა. ჩავარდი ისეთ ალაგას, სადაც სისხლი იყო შედედებული და სხვა უმგზავსოებაც, მივედი ალაგას და ავიხედე და სულ მოსვრილი ვიყავ. აბა, რა არის ეს?! ვინ იცის რამდენი ისვრება ესრე. მაგათის ჩირქით სხვაც ისვრება, სადაურია!!

X

ხშირად ისმის ჩივილი კახეთიდამ, როგორც გვაცნობებენ „ივერიის“ კორრესპონდენტები, რომ სოფლის მასწავლებლებს რიგიანად არ მიჰყავთ შკოლის საქმეო. კახეთში ბევრგან არის შკოლები, მასწავლებლებიც ზოგიერთნი სვინიდისიანი ახალ-გაზდე-

ბი არიან, როგორც სჩანს კორრესპონდენციებიდგან. ნეტავი თქვენ, კახელებო! რამდენიმე სასოფლო შკოლა მაინც გაქვთ. ჩვენ, ჩვენ საცოდავ ქართლელებს? ვაი, ჩვენი ბრალი! ორი საცოდავი სასოფლო-შკოლა გვაქვს: ს. მეჯვრისხევში და ხოვლეში. ს. მეჯვრისხევის შკოლაში წერა-კითხვის გარდა ასწავლიან დურგლობას და ხარაზობას. მაგრამ როგორღაც ვერ თავსდებიან ერთმანერთში, ე. ი. თავს არ მოდის სახელოსნო ნაწილის შეერთება წიგნის სწავლასთან. უფ. მ. ნათაძეს სვინიდისიანად მიჰყავს საქმე, ეს ნიჭიერი ახალ-გაზდაა და უფრო რომ ბეჯითად მოჰკიდოს საქმეს ხელი, ვინემ ეხლა, ძალიან დაგვავალებს. სწავლის გარდა შესანიშნავია ამისი შეგირდებთან ქცევა: ისე უჭირავს ბავშვებთან თავი, როგორც თავის ტოლთან, ბავშვის თვალში იმას ისეთივე ადგილი უჭირავს, როგორც მამას, დედას და-ძმას. ისეთის ხალისით მიდიან ბავშვები სასწავლებელში, რომ რაღა მოგახსენოთ. ასე გაშინჯე კვირა-უქმითაც კი შკოლის გარშემო დაცუნცულობენ ბავშვები, მასწავლებელიც გარს უღებს და ისინი წყნარად მეცადინეობენ: ზოგი სწერს ზოგი სურათებს შინჯავს და ხატავს. სახლი თუმცა დიდია, გარედგან აბრუ დიდი აქვს, მაგრამ რომ გაშინჯავთ უხეირო კაზარმასა ჰგავს. ამოდენა ფული დაიხარჯა და ხეირიანად, რიგზედ, როგორც შეჰფერის შკოლის სახლს, ისრე არ არის აშენებული. მგონი, რომ მალეც დაიქცეს, თუ დროზედ არ უპატრონეს.—ხოვლეშა კერძო საზოგადოებისგან არის გახსნილი შკოლა. ამას ვერ ვიცნობ და ვერას ვიტყვი.

X

შკოლის სასარგებლოთ ყოველი სოფელი, მგონი, როგორც დამარწმუნეს ხარჯს იხდის და შეაქვს მაზრის ხაზინაში. დავიჯეროთ იმდენი ვერ შეგროვდა, რომ დაბა ადგილებში მაინც, ან დიდ სოფლებში, გახსნან შკოლები?! მე დამარწმუნეს ნაცნობებმა, რომ კავთისხევის მცხოვრებელი მღვდელი დ. მექანარეშვილი (ძლივს ერთი მღვდელი არ გამოერია! მაგრამ ეს მღვდლებში არ ურევია, უმრევლოთ დადის) სწირავს სანაქებო ადგილს შკოლისთვის, ოღონდ კი გახსნანო. ფული აგერ რამდენი ხანია ერთმევა ჩვენებურ გლეხობასაო, უთქვამს იმას, და დავიჯეროთ იმდენი ვერ შეგროვდაო, რომ შკოლა გახსნანო. თუ ეს მართალია, ვსთხოვთ ვისაც ეს შეეხება თავს იდოს და გახსნას იქ შკოლა. სამშვილი-შვილოდ დაავალებს ხალხს და თუ სადმე ცხონებაა, გარწმუნებთ, არ ასცდება. რამდენი სოფლები მოგითვალოთ, რომ თვითონ შეუძლიანთ გახსნან შკოლები, მაგრამ ყურის მგდებელი ვინ არის. სურამი ყასაბა ადგილია, აქ არის პრისტავი პოლიციისა და მომრიგებელის მოსამართლის თანაშემწე. აქ შკოლა არ უნდა იყოს? არ შეუძლიან ამდენ ახალ-გაზდებს, რომელნიც იქ სუფევენ, როგორმე გახსნევინონ შკოლა? მაგრამ მატრაბაზ სურამლებს სულ ფულის გროვებაში ამოსდით სული და კი არ ამოსდით.—ცხინვალიც ყასაბა ადგილია, აქაც სუფევს პოლიციის პრისტავი, აი მალე მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწესაც გამოგზავნიან,—არც აქ არის შკოლა ცხინვალელი სომხები სულ დავა-დარაბას უნდებიან. გორის მომრიგებელი სასამართლო სულ ხელადებით მაგათ უნდებათ, და, აბა, თქვენგან არ მიკვირს, სადღა მოიცლიან შკოლისთვის. რამდენი სხვა დიდი სოფლებია ქართლში, გარეშემო პატარა სოფლებით. მაგრამ ვინ მოჰკიდებს ხელს ამ პატიოსან საქმეს, ეშინიანთ: ვაი, თუ სხვა ნაირი კილო გამოაბანო! ტყუილად, ტყუილად გეშინიანთ!!

ქართლელი.

---

**გურიიდამ.** (დასასრული*). ერთი მოსული მილიციონერი ზორბა კინტო თურმე ამ ხანებში ერთ ქიტა გურულს დაეჭიდა და როცა გურულმა თავისებურად „უკვანტა“ კინტოს და მიწაზე გაშოტა, წაქცეულმა კინტომ თურმე გაკვირვებით დაიძახა: „ვა, უყურეთ ამ ჩალასალხს რა მარჯვეები ყოფილანო“. ერთი ჩემი ნაცნობი მარწმუნებდა იმ ხანებში, რომ ქართულს ენაზე ერთი კარგი რომანი უნდა დავწეროვო და სახელად „ჩალა“ უნდა დავარქვავო, რადგან უამისოდ ჩვენში იმას კაცი არ წაიკითხავსო. ეს რომანი ჯერ კი არსად ჰსჩანს, მაგრამ იმ ჩალის ფასით აშენებული კაი სასტუმრო სეკრეტრისა კი მარჯვედ გამოიჭიმა ოზურგეთის მოედანზე და სახელად უთუოდ „ჩალა“ ერქმევა, (ახლო კი არ მინახავს, მაგრამ ის ვიცი, რომ სხვა სახელი იმას ასე არ მოუხდება).

*) «ივერია» № 9, 1878 წ.

ამ დროს ძალიან შეიცვალა ჩვენი მიძინებული, მიყრუებული, ტალახით და ნაგვით სავსე ოზურგეთი.— ის მალე მოცოცხლდა; მის უსწორ-მასწორ, ვიწრო, ტალახიან, მყრალს ქუჩებში დიდი მოძრაობა გაჩნდა: ჯარის კაცები, ვაჭრები, აქაურები და მოსულები მუდამ წანწალებდნენ მის ქუჩებში; აქაური ნახევრათ დანგრეული ტალახიანი, ნოტიოსაგან დაობებული, უშნო ულაზათო სახლები და დუქნები მალე მოსულიერდნენ. ჩაყვითლებული, ჩამჭლევებული მედუქნეები მოცოცხლდნენ და სიხარულით ცერებზე იდგნენ, რომ საცარცვავი დრო დაგვიდგაო, ყოველს დამველებულ დამპალს საქონელს ახლა უთქმელ ფასად გავასაღებთო.

ამ ხანებში ერთი ოზურგელი ვაჭარი მეუბნებოდა: „ისტორიეთ ძალიან უკან დაწეული ვიყავი ეს დრო რომ არ მომსწრებოდა; თუ ღმერთმა ქნა და ამ დრომ კიდევ გასწია, მეიკეცე მაშინ ფესი საყვალაკე, (თავის-თავზე ამბობს) და იჯედი მოფენილზე; იმდენს მოვიგებ, რომ საშვილი-შვილოთაც მეყოს." ზოგიერთი ვაჭრების მეუღლეებიც ნაკლებ ანგარიშებში და ფაცა-ფუცში არ იყვნენ. ერთი ვაჭრის მანდილოსანი ეუბნებოდა მეორეს: „დღეი ერთია და ას ჯელ კი ვინატრევ, ნეტაი ერთი ასი წლის სიცოცხლე მომაკლო და პაწაი რუსული ლაპარიკი მაცოდინაო! ორი რეგვენი (ახალგაზდას ეტყვიან ჩვენში) აფიცარი დადგა ჩემს სახლში, შამოვლიან წკაპა-წკუპით ყოველ დღე ჩემთან, მეჭურღულებიან, მეჭურღულებიან რაცხას მათებურათ და ღმერთო გამაგეთეო, ერთ სიტყვას კი ვერ გევიგეფ! წაწყტება ჩემი დედ-მამა ამდონის ჩემის წყევლით! თურმე რა ყოფილა სტავლა!"

საწყალო, ჩვენის დროის სწავლავ, რა საჭიროებისათვის გნატრულობენ შენ ამ ჩვენს უკუღმართ დროებაში!.

სხვა სახლის პატრონები კი სულ სხვა თვალით უყურებდნენ თავიანთ მდგმურებს; იმათ „ჭურღული" და „წკაპა-წკუპი" მარტო ფულისა სწამთ და აი დაინახეს თუ არა სახლების ბევრი მძებნელი ხალხი, ერთბაშათ მოუმატეს სახლებს ქირა და რომელი ქოხიც არასოდეს თვეში თუმნის ზევით არ გაქირავებულა, ახლა 20 მანეთად დააფასეს. იმათი ანგარება იქამდი მივიდა, რომ მუდამ ოზურგეთის მცხოვრებლებსაც, ღარიბებსაც ის დიდი ქირა მოსთხოვეს, რაც დროებით მოსულებსა და მდიდრებსა. ერთმა აქაურმა ორ-სართულიანის დიდის სახლის პატრონმა . . . . . . . . . უცბად თავის სახლის ზედა სართული სასტუმროთ აქცია, თითო ოთახს საკუთარი კარები გაუჭრა, ყველა ოთახებს ფასი თვეში 10—20 მანეთი დაუნიშნა: თუმანს ახდევინებს იმისთანა „მოსარიდალ" პირებს, რომელთაც ბობოლაებათ ჰრაცხს, ძალას ვერ გაუბედავს; 15—20 მანეთს კი იმისთანა დაბალ ღობეს, ვინც უპატრონო, უენო, ღარიბი და ღატაკია, როგორც ერთი მისი მდგმური საწყალი ქვრივი ქალი, რომელსაც ქმარი 18 იანვრის ომში მოუკლეს ქობულეთში, რომელსაც ორი პაწაწა ობოლი შვილი დარჩა და ქვეყანაზე არაფერი ქონება არ გააჩნიოდა. ამ ობლებსაც სამადლოთ ის პოლკი არჩენს, საცა მისი ქმარი მსახურებდა. ანუ ვთქვათ კიდევ იმისთანა საწყალ ღატაკ სასწავლებელს, როგორიც არის ოზურგეთის . . . . . სასწავლებელი, რომელსაც ქვედა სართულის 5 ნოტიო, მოუხერხებელ ოთახებში, თვეში 100 მანეთს ახდევინებს— თითო ოთახი ორ თუმნად!

ამის მაყურებელი უნებურად ეთანხმები ერთის სწავლულის აზრს, ვითომ გურულები ურიის შთამომავლობისანი არიანო. აბა რომელი ვაჭარი ურია მოიქცევა ამ საზოგადო გაჭირვების დროს ასე ურიულად! კიდევ მადლობა ღმერთს, რომ ეს ურიული ხასიათი მარტო ოზურგელ გურულებს დაეტყოთ; დანარჩენი გურიის ხალხი, აქაური გლეხ-კაცობა, ისევ ის მართალი, პატიოსანი ხალხია, რაც ყოველთვის ყოფილა, და თუ ეს დაბალი ხალხი როდისმე ცუდად იქცეოდა, თუ რამეში უსინიდისობას იჩენს, ამას სულ „განათლებულ" ქალაქელების მიხედვით ჰსჩადის. მაგალითებრ, სოფლელებმა დაინახეს, რომ მათგან უფასო-ფასად გაყიდულ ნაწარმოებს ქალაქელი ვაჭარი ოქროს წონაზე ჰყიდის და ცოტ-ცოტა თითონაც უმატეს ფასი და აქამდი რო აბაზათ ქათამი იყიდებოდა, ეხლა ხშირად მანეთად გადის. სამი კვერცხი რო წინათ კაპეიკათ იყო, ახლა თითო ორ-ორ კაპეიკათ; წინაზე რომ ფუთი სიმინდი 30 კაპ. იყიდებოდა, ახლა 80 კ. —1 მანეთია. წინათ რო ფუთი თივა 30—40კ. იყო, ახლა შაური და ორი აბაზია.

ახლა გლეხს ყველა თავისი ნაწარმოები ქალაქში მოაქვს გასასყიდად, მაგრამ მისი ნაწარმოები ისე მცირეა, ისე უფასოა რომ ამ „ფულიანობის დროს" საწყალ ჩვენ გლეხობას თითქმის არც კი დასჩნევია რამეში წამოკეთება.—იქ, საცა რომელიმე მოქალაქე ვაჭარი ას-ას

თუმნობით შოულობს კვირაში, იქ საცოდავი გლეხი ას კაპეიკს თვეშიც ვერ დაინახავს.

რაღაც ამათ უბედურათ საქონლის ჭირიც წამეეწიათ.—ივლისიდამ დაწყებული ჩვენებურ საქონელს აქამდისინ ჭირისაგან მუსრი ასდის და იშვიათ სოფელში ნახავს კაცი ორ-სამ სულს პირუტყვს. შეუვა თუ არა ტანში პირუტყვს ეს ჭირი, საქონელი მოილანტება და ყურებს ჩამოყრის, მაგრამ ხორცად კი სრულიად არ კლებულობს და ამის ხორცს ჩვენში დაურიდებლად ხმარობენ საჭმლად. ბევრს ოჯახში რამოდენიმე სული პირუტყვი ერთად გასდება ავათ და რასაც სახლში ვერ ერევიან, საჩქაროდ ბაზარში მიჰყავთ და ჰყიდიან უფასო-ფასად იქაურ მეყასბეებზე.—ერთმა გლეხმა დამარწმუნა, ათ-ფუთიანი მეწველი ძროხა ორ მანეთათ გავყიდეო; ქალაქის მეყასბე კი ფუთს ამ ხორცს 6—7 მანეთად ჰყიდის და ამ ნაირათ გებულობს 2 მანეთზე უკანასკნელს 58 მანეთსა!

რა გასაკვირია, რომ აქაურმა ხორცის პოდრიადჩიკმა ბანკში ერთად 10,000 მანეთი გაგზავნოს, როგორც ერთმა ოზურგელმა მეყასბემ ქნა ამ ხანებში.

არიქა, ჩვენო ქალაქელო ვაჭრებო, გაიტენეთ ჯიბები და მუცლები საცოდავის, თქვენივე ძმა-გლეხის ოფლით და სისხლით! თქვენ ჩასუქდით და ჩარგვალდით, ისინი კი დამჭლევებულები შორიდგან შემონატრებენ უნაკლულო სიცოცხლეს და ასში ერთს იმათგანს ფიქრშიაც არ მოუვა, რომ თქვენი მუცლები და ჯიბები მათის სისხლით და ოფლით გატენილან!

აქაურის საქონლის ჭირს წამლობა არას შველის. ბევრნაირი წამლები სცადეს ჩვენში, მაგრამ სულ ფუჭად ჩაიარა. ბოლოს იმ ზემოხსენებულმა სასტუმროს გამსნელმა . . . . . . . პირმა ხმა დაჰყარა, უებარი წამალი ვიცი ამ ჭირისაო, თითო დალევა წამალი თითო მანეთად ღირსო და მალე მეეშველეთ თქვენ ავათმყოფ პირუტყვებსო. გამოუცდელი გაჭირვებული ხალხი ერთ-ბაშათ მისექდა ამ ცრუ-მკურნალს, როგორც წყალ-წაღებული ხავსს. აბა ვინ დაზოგავდა თითო ოროლ მანეთს პირუტყვის მოსარჩენად, მით უფრო, რომ მკურნალი გადაწყვეტით აჯერებდა, იმათ რომ ამ წამალს ვერაფერი ჭირი ვერ გაუძლებსო. მაგრამ ვაი რომ ჭირმა კარგად გაუძლო და საქონელმა კი ვეღარ აიტანა ორი სენი ერთად—ჭირი და იმ ჭირის ჭირი—წამალი. ამნაირად თავზარი დაეცა ჩვენის საწყალის გლეხობის ოჯახობას ამ საშინელის ჭირისაგან.—გვეგონა ზამთარი მაინც დაასუსტებდა ამ საშინელს სენს, მაგრამ თითქმის უფრო გაცხარა წრეუნდელმა არა ჩვეულებრივმა სუსხმა—ზამთარმა.

პირველ იანვრიდამ მოკიდებული აქამდისინ დაუდნობლივ თოვლი ძევს გურიის ბევრს ადგილებში და საშინელი სიცივეები დგას. თოვლის დაწყებამდი ერთი საშინელი იმერული ზანა ქარი შემოგვეჩვია და თუმცა ერთის მხრით ის სარგებელი მოიტანა, რომ ჩვენი მუდამ მოღრუბლული ცა და ნოტიოთ სამსე ჭაერი დროებით გაგვიწმინდა და გაგვიშრო და ამით სხომინდელი შემოდგომის ხანგრძლივი წვიმები შეგვიმცირა, მაგრამ ბევრი ავათ-მყოფობაც კი მოგვიტანა საიდამაც: ყელის ტკივილი, ალაგ-ალაგ ყვავილი და ცხელება. მეტადრე საშიშ მდგომარეობაშია ამ მხრით გაზაფხულისათვის ქალაქი ოზურგეთი. ამ პაწაწა, უიმისოთაც დამპალ, ხაშმიან, ნოტიოან ორმოში შეყრილია ერთად რამოდენიმე ათასი მცხოვრები, რამდენიმე საავათმყოფონი ავათმყოფებით გამოვსებულნი, ცხენები და მათი ნაგავი, ერთიერთმანეთში არეული და სხვა ათას ნაირი უწმინდურება, რომელსაც სხვა ქალაქიდამ შორს გაზიდავენ ხოლმე ან მდინარეში ჰყრიან. ამასთან აქაურები ვინ იცის რა საჭმლით ივებებიან: ჭირიანის ხორცით და დამპალის პურით. უეჭველია, რომ გაზაფხულზე და ზაფხულზე აქ ბევრი გადამდები სენები გაჩნდება და აქედგან მოედება მთელს გურიას, მაგრამ ოზურგელები ამაებზე მგონი არაფერსაც არ ჰფიქრობენ: ყველა გაუყრუებია ჩალას. აბა რა დიდი მოსაფიქრია სხვა და სხვა უწმინდურების ქალაქს გარეთ გაზიდვა ან მდინარეში ჩაყრა! მით უმეტეს, რომ აქაური მდინარე (ყურყე) ქალაქ გარეთ ჩადის და ქალაქი იქიდამ წყალს არ ხმარობს. ან და იმისი არ იყოს, რომ მთელ ქალაქში ერთი ორი ფანარი არა აქვთ და ბნელ ღამეში კისერს ადვილად მოიგრეხს კაცი, როგორც ერთს ჩემს ნაცნობს დაემართა ამას წინათ აქაურს ოღრო-ჩოღრო ვითომ ქუჩებში: ეს საწყალი 30-ს საჟენის მანძილზედ საღამოს ათ საათზე რამდენსამე ალაგს ლაფში თურმე ჩაეცა და სახლში თავიდამ ფეხამდი ტალახში ამოლაფული მივიდა.

გურული.

19 ფებერვალს 1878 წ.

---

„ივერიის“ № 37 1877 წ. გამოცხადების ძალით, შესახებ საზოგადოების დაარსებისა შესაწევნელად მოსწავლეებისა და გასავრცელებლად სწავლისა, შემდეგნი პირნი აცხადებენ სურვილს ჩაერიცხონ წევრებად ხსენებულ საზოგადოებაში წლიურის შეწირვით:

| | მან. | კ. |
|---|---|---|
| 1) ნიკო დადიანი | 5 | — |
| 2) გიორგი დავითის ძე ერისთავი | 1 | — |
| 3) პ. წულუკიძე | 2 | — |
| 4) ბესარიონ ღოღაბერიძე | 5 | — |
| 5) ალექსანდრე ფაღავა | 2 | — |
| 6) ივ. მესხი | 2 | — |
| 7) ეფროსინე კლდიაშვილისა | 1 | — |
| 8) ივანე ჭკვიტაშვილი | 2 | — |
| 9) პ. ნაკაშიძე | 5 | — |
| 10) დავით ლორდქიფანიძე | 5 | — |
| 11) დავით ერისთავი | 2 | — |
| 12) ნესტორ ერისთავი | 2 | — |
| 13) დავით ლეონიძე | 2 | — |
| 14) იაკინთე ყიფიანი | 3 | — |
| 15) ბესარიონ ლოსაბერიძე | 3 | — |
| 16) ილია ჩხეიძე ერთჯამიერად | „ | 62 |
| ჯამი | 42 მ. | 62 კ. |

ეს ფული სრულიად მიიღო რედაქციამ, და თავის დროზედ ჩააბარებს საქმის გამგებელს.

## წერილი რედაქციისადმი

უფ. რედაქტორო! თქვენის გაზეთის № 3-ში დაბეჭდილია კორრესპონდენცია „ზოგიერთი მასწავლებელი,“ რომელსაც ბოლოს აწერია ასოები დ. და რ. ამ კორრესპონდენციაში აწერილს მასწავლებელს უფ. კრუგლოვს მოუწერია უფ. ლიხაჩოვისათვის, რომ კორრესპონდენციის დამწერი არ. ს ალექსანდროვის ინსტიტუტის მოსწავლე დავით როსტომაშვილიო, ე. ი. მე. უფ. ლიხაჩოვმა მიჩვენა ეს მოწერილობა. უფ. ლიხაჩოვი არის ქრისტ. ალმადგ. საზოგადოების შკოლების ინსპექტორი და ჩემი მომავალი უფროსი, რადგანაც მე ვსწავლობ ამ საზოგადოების ხარჯით. ახლა ადვილად წარმოიდგენთ თუ რა უსიამოვნობას მიქადის ზემოხსენებული ბრალი, რომელსაც უსაფუძვლოდ მწამებს უფ. ლიხაჩოვი. ამიტომ გთხოვთ უმორჩილესად შეამოწმოთ, რომ კორრესპონდენციის დამწერი მე, არ გახლავარ.

დავით როსტომაშვილი.

PS. ვთხოვ აგრეთვე „ტფილისის მოამბის“ რედაქციას გადიღოს ეს ჩემი წერილი თავის გაზეთშიაც.

რედაქციის მიერ. პასუხის მგებელი ყოველის უსახელო წერილისა, რომელიც დაბეჭდილია «ივერიაში» არის თვითონ რედაქცია. რაც შეეხება კორრესპონდენციას „ზოგიერთი მასწავლებელი,“ მისი დამწერი დავით როსტომაშვილი არ არის.

## საპოლიტიკო მიმოხილვა

**ინგლისი.** ინგლისის მთავრობამ დანიშნა კიდეც იმ მხედრობის მთავარ-სარდალი და შტაბის უფროსი, რომელიც გაგზავნილ უნდა იქმნეს აღმოსავლეთს თუ ვინიცობაა ომიანობა აუტყდება ინგლისს. მთავარ-სარდლად გაუწესებიათ ლორდი ნეპირი და შტაბის უფროსად უოლსლეი. ამ პირთა გაწესება ძალიან მოსწონებია თურმე ინგლისის საზოგადოებას და გაზეთებსაც დიდ სამნიშვნელო საქმედ მიაჩნიათ. „ეს ამბავი ფრიად შესანიშნავიაო, ამბობს გაზეთი «Standart»-ი: დიდებული მთავრობა არ ნიშნავს მხედრობის მთავარ-სარდალს და შტაბის უფროსს თუ არ მოელის შემთხვევას ამ მხედრობის ნამდვილად გასტუმრებისას. მაგრამ აქედგან, რასაკვირველია, ის დასკვნა არ გამოდის, რომ ომი გარდაწყვეტილია ან აუცილებელი. ეს ამბავი გვეუბნება მხოლოდ, რომ ინგლისი ვერ დათანხმდება შერიგების პირობებზედ და თუ რუსეთი არაფერს ხრ დასთმობს, ჩვენ იძულებულნი ვიქნებით წავავლოთ ხელი უკანასკნელს ღონისძიებას. ჩვენ უდგევართ ომიანობას პირის პირს, რადგანაც რუსეთმა დასდვა შეუძლებელი პირობა და მოთხოვნილება. ევროპა ენდო რუსეთს; ამანაც ისარგებლა ამ ნდობით, დაარღვია თავისი სიტყვა და ცდილობს გაადიდოს თვისი მფლობელობა მათ წინააღმდეგ, რო-

მელთაც დაიჯერეს მისი დაპირება. შიშის აცალება რუსის მთავრობაზედ ჰკიდია. ჩვენს მიერ მეტი მშვიდობის მოყვარეობა შეუძლებელია... ინგლისი დაღალული იყო ოსმალეთის მმართველობის უწესოებით; მას გულში უღვივოდა ქრისტიანთა განთავისუფლების სურვილი; იგი მოელოდა, რომ რუსეთი დაპირებისამებრ გააკვირვებს ქვეყანას თვისის უანგარობით და ზომიერობით. მაგრამ ეს მოლოდინი ვერ გამართლდა. ეხლა ჩვენი ქვეყანა აღელვებულია; მას რცხვენიან რომ ეგრე ადვილად დაიჯერა რუსეთის სიტყვა. რუსის მთავრობა ჰმალავს, სცდილობს თვალი აუხვიოს ყველას, აცდინოს. ინგლისის აღელვების მიზეზიც ეს არის. როდესაც დროებით შერიგების პირობებზედ ჩამოვარდა ლაპარაკი, ჩვენში არსებობდა კიდევ გავლენიანი დასი, რომელსაც სრული ნდობა ჰქონდა რუსეთისადმი. ეხლა კი ერთი ადამიანიც ძნელად მოიპოვება, რომელიც ამ ნდობით იყოს აღსავსე. მართალია, არიან იმისთანა კაცები, რომელთა აზრით ომიანობა საჭირო არ არის და იმედიცა აქვთ, რომ აიცილებენ თავიდგან. მაგრამ, რაც უნდა იყოს, მთელი ხალხი ერთხმად სძრახავს რუსეთის პროგრამმას. რუსეთს ეხლაც შეუძლიან შეამციროს ეს უსიამოვნო შთაბეჭდილება და მისი შედეგი." გაზეთის «Standart»-ის აზრით ბალკანიის ნახევარ-კუნძულის მომავალი ბედი რუსეთმა მთელს ევროპას უნდა მიანდოს, როგორც მიანდო შავი-ზღვისა და სრუტების ბედი, და სხვა.

გაზეთის „СѢВЕРНЫЙ ВѢСТНИКЪ"-ის ლონდონელი კორრესპონდენტი იწერება შემდეგს: „ამ ჟამად ხალხის მიდრეკილება ომიანობაზედ არის მომართული, და იმიტომ კი არა, რომ ომიანობა ჰსურს; არამედ იმიტომ, რომ სრულიად გაწყვეტილი აქვს ნდობა რუსეთისადმი. ეს მიმართულება მით უფრო დამკვიდრდა, რომ შერიგებაზედ მოლაპარაკებამ დიდხანს გასწია და საიდუმლოებითაც იყო გარემოცული. მუშა-ხალხი და მოწინავე კაცები ფიქრობენ, რომ რუსეთმა უღალატა სლავიანთა განთავისუფლებას, რომლისათვისაც ამოიღო ხმალი; სხვა დასის კაცთა ჰგონიათ, რომ რუსეთი სან-სტეფანოში მახესა სდებს ინგლისის დასამცირებლად. უკანასკნელნი ყვირიან, პირველთ ეშინიანთ მშვიდობიანობის ქადაგობა: რუსეთისადმი მეგობრობა არ დაგვწამონო. ამიტომაც ინგლისის ხალხს და საზოგადოებას ეტყობა განხეთქილება, ყოყმანობა. გლადსტონს ყოველდღე მოსდის მრავალი ლანძღვა-თრევით აღსავსე წიგნი; ქუჩაშიაც კი მრავალი წყენა და შეურაცხყოფა ჰხვდება. ეხლა ლორდ დერბისაც (გარეშე საქმეთა მინისტრი) გლადსტონის დღე დაადგა, რადგანაც იგი მთავრობას უშლის ომის გამოცხადებას. აი რას შვრებიან იგინი, რომელნიც ომიანობის ნატვრაში არიან. მშვიდობის მოყვარენი კი გაჩუმებულნი არიან. რატომ? იმიტომ რომ არ ენდობიან რუსეთს. იგინი მერეც გაჩუმებულნი იქმნებიან, თუნდ ომიც რომ ასტყდეს. ყველას ეგონება ომის გამოცხადება მთელის ხალხის სურვილიაო,—არ არის კი. თუ გამარჯვება ერგო, ეს ომი ხალხშიაც გაითქვამს სახელს, როგორც ყოველი მარჯვე ომი. მაგრამ თუ ომიანობას დაერთვა დამარცხება, მაშინ კი ვაი კონსერვატორებს და უმაღლეს თავადაზნაურობას! (რომელნიც ეხლა ცხადათ ქადაგობენ ომს). რაც კი რამ გაჩუმებულია ამ ჟამად, მაშინ თავს დაეცემა ომის ამტეხს. გაჩუმებულთა შორის კი არიან მუშა-ხალხი და უმაღლესი ინტელიგენცია.» ერთის სიტყვითაო, ამბობს ბოლოს კორრესპონდენტი, დღე-დღეზედ ომს მოელიანო. ყველაფერი შერიგების პირობებზედ არის დამოკიდებულიო.

საქმეც ეს არის, რომ ყველაფერი შერიგების პირობებზედ არის დამყარებული, მაგრამ ამ პირობების კი ნამდვილი არა ისმის რა. თუ დავუჯერეთ გაზეთის «Daily News»-ის კორრესპონდენტს ეს პირობები მდგომარეობენ შემდეგში: ხომალდებზედ არაფერი არ არის მოხსენებულიო, აგრეთვე სრუტებზედაც. ეგვიპტის ხარკი ხელუხლებელად დარჩებაო. გარდასახადი, რომელიც ოსმალეთმა უნდა მისცეს რუსეთს ერთს მილიარდამდე ადის. ამაში უნდა ჩაითვალოს ყარსი, ბათუმი და დობრუჯა, რომელთა ფასი ჯერ ცნობაში მოყვანილი არ არის, მაშასადამე არც ის იციანო თუ რამდენი ნაღდი ფული უნდა მისცეს ოსმალეთმა რუსეთსაო. არზრუმი რუსეთს არ მიეცემაო. თუ რუმინია თანახმა იქმნებაო, დობრუჯა ბესსარაბიაზედ გაიცვლებაო; თუ არა და დობრუჯა ბოლგარიის ნაწილად შეიქმნებაო. ბოლგარიაში მცხოვრებნი მაჰმადიანნი განდევნილ არ იქმნებიან ბოლგარიიდამ. ბოლგარიას ეძლევა დაუმოკიდებლობა და მმართველად მთავარი, რომელიც არ უნდა ეკუთვნოდეს არც ერთს ამ ჟამად ტახტზედ მჯდომს გვარს. ეს მთავარი ამორჩეული იქმნება ხალხის წარმომადგენელთა მიერ. ხარკის რაოდენობა, რომელიც ბოლგარიამ უნდა აძლიოს

ოსმალეთს, დადგენილ იქმნება მხოლოდ ორის წლის შემდეგ. ბოლგარიაში იქმნება დაყენებული რუსის ჯარი (50,000 კაცი), ვიდრე ადგილობრივი მილიცია გაიმართება. ბოლგარიის მმართველობა იქმნება მთავარისა და ხალხის მიერ ამორჩეულის კრების ხელში. მაგრამ რა გვარი მმართველობა იქმნება—ამის გარდაწყვეტა მიენდობა მთავარს და კრებას, აგრეთვე ევროპას. ბოლგარიის საზღვარი უფრო ვრცელია, ვიდრე ის რომელიც სტამბოლის კონფერენციაში იყო აღიარებული. დანარჩენში შესანიშნავი არა არის რა. ამაში მდგომარეობენ შერიგების პირობები, თუ გაზეთებს დავუჯერეთ მეთქი. მაგრამ „მთავრობის უწყებები“ ამბობენ: გაზეთებში მოხსენებულნი პირობები დასაჯერებელნი არ არიანო. მაშ ნურც ჩვენ დავუჯერებთ და დავუცადოთ ნამდვილს ამბავს, რომელსაც მალე უნდა მოველოდეთ, რადგანაც გრაფი იგნატიევი და რეუფ-ფაშა პეტერბურღს მისულან კიდეც ამ პირობების დასამტკიცებლად.

—

**ოსმალეთი** „უწინდელმა აღელვებამაო, იწერება ერთის ნემეცურის გაზეთის კორრესპონდენტი სტამბოლიდამ, დაუთმო თვისი ადგილი სასოწარკვეთილებას. აქ ამ ჟამად არსებობს სრულიადი განცხრომა; გული აღარავის არაფრისა არა აქვს. უკანასკნელნი მძიმე ამბებიც კი არავის უღელვებს და უმღვრევს სისხლსა. აი თუნდ მაგალითად ოსმალეთის პარლამენტის დაშლა ავიღოთ. მთავრობას მობეზრდა ეს ახირებული პარლამენტი და დაშალა კიდეც, ე. ი. დროებით მოსპო მისი სხდომა. ამ გვარი განკარგულება სხვა დროს დიდ არეულობას დაბადავდა, მაგრამ ეხლა კი მშვიდობიანად ჩაიარა. მართალია თვით დეპუტატებმა წინააღმდეგობა გამოიჩინეს და მოინდომეს ძალად დარჩომა სტამბოლში. მაგრამ მთავრობა არც კი დაფიქრდა: პოლიციის მინისტრმა მიიწვია ახირებული დეპუტატები და გამოუცხადა, რომ პალატის დაშლის შემდეგ თქვენი ყოფნა სტამბოლში სასურველი არ არისო და მთავრობა გთხოვთ ეხლავე შინისკენ წაბძანდეთო, და თუ თხოვნა არ აასრულეთო, ძალასაც დაგატანთო. ეს მოწვეულნი დეპუტატები იყვნენ უკეთესნი და ყველაზედ უფრო ნაჩქერი მთელს პარლამენტში. ყველაზედ უარესი დღე დაადგა ადრიანოპოლის დეპუტატს, რომელიც ამ ჟამად ბრუსსას (მცირე აზიაში) გადაასახლეს.“

ამ განდევნილთა შორის გახლავსთ ერთი იერუსალიმელი დეპუტატი იუსუფ-ბეი, რომელმაც მისწერა სამდურავი წიგნი სამინისტროის მოთავეს. ეს წიგნი, რომელიც გაზეთებშია დაბეჭდილი, ძლიერ შესანიშნავია და შეიცავს შემდეგს: „თქვენო ბრწყინვალებავ! წარსულს პარასკევს მეწვივნენ ჟანდარმები და საიდუმლო პოლიციის აგენტები ჩემ წასაყვანად პოლიციის მინისტრთან. სამწუხაროდ შინ არ დავუხვდი, და ამიტომ მეწვივნენ მეორე დილას და დამიგდეს პატარა ოფიციალური წერილი, რომლის ძალით დილის 10 საათზედ პოლიციის მინისტრთან უნდა წავსულიყავ. იქ დამიხვდა სამი ჩემი ამხანაგი, რომელნიც ჩემსავით იყვნენ მოწვეულნი. მინისტრმა მოგვიგო შემდეგი სიტყვა: „რადგანაც დეპუტატთა პალატი დაიხურა, თქვენ ეხლა აქ საქმე აღარა გაქვთ-რა, და ამიტომ პირველსავე ხომალდით თქვენს სამშობლოში უნდა დაბრუნდეთ“. ამის პასუხად ვიკითხე კანონიერი მიზეზი ამ გვარის ძალის დატანებისა; მე მინდოდა მენახა ოფიციალური ბძანება, რომლის ძალითაც ასე მოგვექცა მინისტრი. პოლიციის მინისტრმა გვიპასუხა: „რადგან მე ოფიციალურად გელაპარაკებით, ჩემი სიტყვა ოფიციალური ბძანებაა და არავითარი მიზეზი და თავის გამართლება საჭირო არ არის“. როდესაც ვუთხარით, რომ ჩვენ სტამბოლში ბევრი კერძო საქმე გვაქვს და ჯერ გზის ფულიც არ აგვიღია, მინისტრმა შეურაცხყოფით მოგვიგო: „მე მენანება ის ხალხი, რომელმაც ამისთანა გლახები ამოირჩია დეპუტატებად.» ამაზედ ვუთხარით, რომ ჩვენ მაინც და მაინც დეპუტატები ვართ და ჯეროვანი უფლებაც გვიპყრია, და მოვინდომეთ ამ ბაასის პროტოკოლის შედგენა. ამის პასუხად პოლიციის მინისტრმა განიმეორა თავისი ბძანება, და ჩვენც გამოვედით.

„თქვენო ბრწყინვალებავ! რადგანაც ჩვენ არა გვგონია, რომ ამისთანა უკანონო და კონსტიტუციის წინააღმდეგი მოქმედება იყოს ჩვენის კეთილისა და სამართლიანის ხელმწიფის მიერ ბძანებული, ან თქვენ მიერ, ამიტომ გთხოვთ მე და ჩემი ამხანაგებიც გამოგვიგზავნოთ ოფიციალური წერილი და აგვიხსნათ ზემოხსენებული ჩვენს წინააღმდეგ ხმარებული სახსარი. ამასთანავე გთხოვთ პ სუხი მოგვცეთ იმ შეურაცხყოფისათვის, რომლითაც მოგვექცა ჩვენ პოლიციის მინისტრი.—16 თებერ-

ვალს 1878 წ. იუსუფ-ბეი-ალხალიდი, იერუსალიმის დეპუტატი.“

აბა, იტყვიან ოსმალეთის მთავრობა განათლებული არ არისო! როგორ განათლებული არ არის, რომ ასე მალე მოჰყოლია ევროპის მთავრობათა მოღვაწეობის მიბაძვას? ვითომ რით ჩამოუვარდება ზემოხსენებული მოქმედება ოსმალეთის მთავრობისა თუნდ მაგალითებრ საფრანგეთის მთავრობას ნაპოლეონ III-ს დროს, ან თვით მაკ-მაგონის მთავრობას ბროლჲის დროს? რას მიქვიან დეპუტატობა, რას მიქვიან პარლამენტობაო. დღეს ქეიფი მომივიდა და უფლება მოგეცით, ხვალ სხვა ქეიფი მომივიდა და უფლებაც წაგართვითო და პანდურიც ამოგკარითო. მაგრამ ერთი რამ კი გასაკვირველია სწორე მოგახსენოთ: საზოგადოთ შემჩნეულია, რომ როდესაც რომელიმე სახელმწიფო დამარცხებული გამოდის ომიანობიდამ იგი უფრო მტკიცედ იდგამს ფეხს შინაგანს წარმატებისაკენ და ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ სიყვარული და თანაგრძნობა მოიპოვოს თვის ხალხში. ოსმალეთის მთავრობა კი ისე იქცევა, თითქო ომიანობამ არამც თუ არა დააკლო რა, არამედ რაღაც ძალაც მიუმატა და ამ ძალის მფარველობის ქვეშ რაცა ჰსურსიმას მოქმედობს. მაშ იქნება მართალი იყოს გაზეთის «Times»-ის კორრესპონდენტი, რომელიც ამბობს: «მე დარწმუნებული ვარ, რომ თუ ოსმალები ჭკვიანათ მოიქცევიან და მათ და რუსთა შორის არაკითარი უთანხმოება აღარ გაჩნდება, ოსმალეთს შეუძლიან დაიმკვიდროს თვის ნანგრევზედ უფრო მტკიცე მდგომარეობა ვიდრე უკანასკნელს ორ საუკუნის განმავლობაში ეპყრა. ოსმალეთის უმთავრესი ტკივილი იყო მისი უშველებელი სივრცე, უგზო-უკვლობა და მის მაჰმადიანთა აქა-იქ გაფანტვა, რომელთაც გარს ერტყათ მოწინააღმდეგენი ბერძნები, სლავიანები და სომხები. თუ ოსმალები თავს დაანებებენ მოწინააღმდეგე პროვინციებს და მათგან მხოლოდ ხარკის აკრეფას იკმარებენ; თუ, გარდა ამისა, მაჰმადიანებს თან და თან გადაასახლებენ იმ ადგილას, რომელიც ერთვის სტამბოლს და მჭიდროდ დაასახლებენ მცირე აზიაშიაც, მაშინ ახალი ოსმალოს სახელმწიფო ათჯერ უფრო მძლავრი იქნება ვიდრე ეხლა.»

—

**ავსტრია** ავსტრიელებს ძალიან მონდომებიათ ბოსნიისა და ჰერცოგოვინის დაჭერა. გაზეთი „Presse“ ამბობს: „მოვიდა დრო მოქმედებისა. ჩვენ პატივსა ვცემდით ოსმალეთს, როდესაც იგი თავის სახლის პატრონი თვითონვე იყო და თავის ქონებას თავის ნებით ხმარობდა. მაგრამ ეხლა, შერიგების შემდეგ, ოსმალეთის მთავრობას სახელიღა შერჩა. ნამდვილად იგი არსებობს მხოლოდ რუსეთის მოწყალებით და რუსეთისთვის. ოსმალეთმა თვითონვე დაუთმო თავისი სამთავრო (ВЕРХОВНЫЙ) უფლებანი. მაშ რაღა დაგვიშლის ბოსნიის დაჭერით დავიცვათ ჩვენი სარგებლობა? ტყუილად ამბობენ რუსები ვითომ ღია კარში შესვლა გვინდოდეს; ჩვენ გვინდა მხოლოდ დავიცვათ ჩვენს მეზობლად მდგომი სახლი, რომლის კარი ყველასთვის გაღებულია და სხვათა შორის იმათთვისაც, ვინც ჩვენს ეჭვ ქვეშ არის.“ მეორე გაზეთი კი, „Deutsche Zeitung,“ ამბობს, რომ თვითონ რუსეთი ცდილობსო აგები როგორმე ბოსნია მოგვაჩეჩოსო: „სერბიისა და ჩერნოგორიის საზღვრები იმდენად იმატებენო, ამბობს გაზეთი, რომ ბოსნია სრულიად დაშორებული იქნება ოსმალეთზედ; ასე რომ ავსტრია იძულებული იქნება ან თვითონ აიღოს ბოსნია ან სერბიას მისცეს. რუსეთი გვიგზავნის ბეგებს, რომელთაც უცებ ძალიან მოსდომებიათ ავსტრიის ბატონობა და დეპუტატებს გზავნიან ვენას, ბოსნია წაიღეთო. ერთის სიტყვით, ისღა გვაკლია, რომ რუსეთმა ძალა დაგვატანოს, გინდათ თუ არა ბოსნია წაიღეთო, და ამით გათავდეს ეს უცნაური ხანა აწინდელის ისტორიისა.“ უნდა მოგახსენოთ, რომ პირველი გაზეთი არის მთავრობის მომხრე, მეორე—მისი მოწინააღმდეგე. მაშ საქმე ასე იქნება: ავსტრიის მთავრობა ეშმაკობს ვითომ და რუსეთის აგვაცლობას ველარ გავუძლებთო და მის წინააღმდეგობისთვის ბოსნიას დავიჭეროთ. მთავრობის მოწინააღმდეგენი კი ეუბნებიან—ეს წინააღმდეგობა კი არ იქნებაო, არამედ რუსეთსაც ეს უნდაო.

ახლა მოდი და ჭეშმარიტება გაიგე.

—

# თაგვებისა და კატების ომი

(მიბაძვა ძველთა მწერლებისა.)

თაგვთა მეფე ავათ იყო, სიდამწვრით, თუ ქეცითაო,
ბუმბულები ქვეშ დაეგო, მოეფინა ბეწვითაო;
წამალს მეფე არ ნებულობს, არცა დიდის ხვეწნითაო,
და მას ვირთხა ექიმბაშობს, სწამლობს მხოლოდ წეწვნითაო!..

კატას ცნობა მიუვიდა, თაგვთა მეფე შემძიმდაო,
სთქვა: «მარჯვე დრო მე ახლა მაქვს, შევასრულო რაც მინდაო»,
ულვაშებს ტოტი გადისო, ტუჩები გადიწმინდაო
და ჩაცინებით წამოჲსთქვა: «თაგვებს დღე დაუბინდდაო!...»

ვეზირები შემოიხმო, შეექმნათ დიდი თათბირი:
ერთმა სთქვა: «წიგნით ვიკითხოთ თაგვთა მეფეს გასაჭირი»,
მეორემ სთქვა: «გაუგზავნოთ მოსაკითხათ ლეღვის ჩირი»,
მესამემ სთქვა: «რას ვეფერით, დავამტვრიოთ: ცხვირი, პი-
რი!..»

ციცამ ყველას თათბირებში პირველთა თქმა დაიჯერა,
სთქვა: «დავეშურნეთ, მივწეროთ, აღარ უნდა ამას ცქერა,
თორემ შეგვიტყობს თათბირსა, აცნობებს, ვინც დაგვამტერა,
და საწერ-კალამი მოართვეს და დაიწყო წიგნის წერა.

— «ბატონო, თვალის სინათლევ, დიდებავ, თაგვთა მეფეო,
სამი ამბრისა მფლობელავ, ნიგვზით ხარკისა მკრეფაო,
თქვენი უძლება ვისმინე, ამტკივდა თავის კეფაო,—
სიკვდილსაც მოსძულებიხარ, ვით მე მძულს ძაღლის-ყეფაო!-

ნეტა ვიცოდე რა გარგებსთ, მოგართო რამე მალამო,
ნება მიბოძეთ მოვიდე, მსურს გნახო, მოგესალამო, [მო,
გულს მოგეხვიო, თქვენს დარბაზს მტირალნი თვალნი დავლა-
ჩემს მწუხარებას ვერ მოვსთვლი... დასწერე ჩემო კალამო!...»

რა მისწერა, თაგვთა მეფეს გაუგზავნა კატა ჭრელი,
წიგნი მისცა და უბძანა: «თაგვთა მეფის ნახე ხვრელი,
ეს ბარათი მას მიართვი, მოსაკითხათ ერთი ყველი
და პასუხიც მომიტანე,—სწორეთ მოუთმენლად გელი.»

მხიარულად გასწია ჭრელამ, წიგნი პირში დაიჭირა,
ყველსაც მიათრევს ბაწრითა, საქმე აღარ გაიჭირა,
რა შეემძიმა, გამოხრა, ამით ბარგი შეიმცირა,
თაგვთა მეფის სასახლეში ჩუმათ მისვლა დააპირა...

რომ მივიდა სასახლესა, მოფენილსა ძველის ქეჩით,
ხვრელში ველარ შეეტია, თუმც ეცადა დიდის ჩეჩით;
შეიძახა: «გამომხედეთ!—კატად მეფის მოვედ ელჩი,
სამოყვროთ ვარ, მოსაკითხით, დამერწმუნეთ არას გერჩით...»

თაგვთა მეფეს მოახსენეს, კატათ მეფის წიგნის ხლება,
ეს ამბავი, დედოფალსა, არ იამა, იმჭვალება,
აათრთოლა საცოდავსა, მტერსაც კი შეებრალება,
ბრძანა: «კატებს უფიქრიათ, სწორეთ თაგვების აკლება...»

თაგვთა მეფემ ვერ გაბედა, ინახვინოს კატა ჭრელი:
ვერ გაბედა ელჩის ნახვა, თვალად იყო საზარელი....
მოითხოვა და მოართვეს: კალამი და საწერელი,—
კატას სწერს ტკბილსა პასუხსა, ვით მოძმისა საყვარელი:

«ძლიერო, დიდო ხელმწიფევ, ტომო, ვეფხვის ბუდიდამო,
მიამა რომ წავიკითხე თქვენი წიგნი, ყურდიდაო,
უძლურისა ხსოვნისათვის, ძრიელ გმადლობ ჩემო დაო,
ნუ მიწყენ, ვერ გინახვინებ, აღარა ვარ ავადაო....»

ციცამ პასუხი მიიღო თაგვთა მეფეს მონაწერი,
როცა იგი გადიკითხა, მას გადასკდა ცუდი ფერი,
თავში იცა, გადიგლიჯა ულვაში და მერმე წვერი,
გაპასობით გაიქნივა, ეშმაკურათ კუდის წვერი.... [თვეში:
კატა ჯავრობს, მრისხანეობს, ჩხავის როგორც მარტის
«უარი ვით გამიბედა? — გაუგზავნე მას ფეშქეში, [ში!..
მოყვრობა არ გამივიდა, თუ მტრობა ჰსურს-ვაძვრენ ხვრელ-
დამ მე ციცა არ ვიქნები, თუ არ ვჭამო მათი ლეში!...»

ციცათ მეფემ მოიხმო სარდლები და ვეზირები,
უბრძანა: «მოემზადენით, ჯარათ წასვლას ვეპირები,
სალაშქრო ბუკი აყვირეთ, ბარგით დატვირთეთ ვირები,
გაჩვენოთ ომი ფიცხელი, თაგვები ანატირები!»

სარდლები კარს გამოვიდნენ, დაიძახეს: «შეკრბეს ჯარი!-
ას-ასი ერთათ დაეწყვნენ, ერთმანეთის მოაბით მხარი,
ხატაურები თავს დადგნენ,—სანაქებო მეომარნი,
კნუტებს ბარგი ჩააბარეთ, სალაშქრო ნაღარას ჰკარით!...»

კატის ლაშქარი დაიძრა, მებუკეთ ახლავსთ მამალი,
წინარათ მიდიან, წყობითა, გზა აქვთ მათ დიდი სავალი,
თან მიაქვთ ტყვია, წამალი, დაჭრილებისთვის წამალი,
საზრდოთ თევზი და მეხვები, სხვა ნუზლი დიახ მრავალი.

იარეს დღე და ღამესა მივიდნენ თაგვთა მხარესა,
მინდორზედ ჯარი დაბარგდა, თაგვთ ემუქრიან მწარესა,
ამბობენ: «დავხოცთ გავჟლეტავთ, ერთიან, დიდს და მდარესა,
თუ კი ხვრელიდგან გამოსვლა იმათ, არ დაიზარესა?!...

თაგვთა მეფემ რომ გაიგო ლაშქრის მოსვლა, დაბარგება,
თხუნელების ჯარი იხმო, ბძანა ვირთხის დაბარება;
«დედოფალაც თუ არ ვიხმე,—ამბობს,—ხომ არ ქვარგება?
მოყმე, მოძმეც მოვიმარჯოთ, არ გვარგა დაგვიანება...»

ეს რომ სთქვა და დაიბარა: ვირთხები, ბლომათ თხუნელა,
უბძანა: «როცა დაღამდეს, წრუწუნს დამალეთ ყველა,
მასუკან კატის ურდოში შეიპარეთ ნელა, ნელა,
რადგან ჯარი ჯერ ცოტა გვყავს, ვერ შევებმით ხელ და ხელა »

იმ ღამეს ლურჯა თაგვები შეუპარნეს კატის ურდოს,
ტომრები სულ დაუხვრიტეს, ლაშქრობაში, დიახ ცუდ დროს,
ნუზლი ბევრი შეუჭამეს, თითქო ვისმეს გაექურდოს,
რა ინათა, მიაშურეს, სოროებში ფეტვის ბურდოს...

გათენდა, მამლის ყივილმა სულ შესძრა კატის ჯარია,
რა ნახეს ნუზლი შეჭმული სთქვეს, თუ ვის გაუპარია?
ტომრის ნახვრეტთა ამცნივეს რომ თაგვთა ნასაქმარია,
სთქვეს: «თუ ასეა, თაგვებსა, დღე დაუღამოთ მწარეა! ...»

შეგროვდა კატისა ჯარი, შემოკრბა ყველა ერთს წამსა,
უცვივდნენ თაგვთა სოროებს, დაუწყეს ფხოჭნა მიწასა,
მოგეხსენებათ კლანჭები როგორ მჭრელი აქვს ციცასა?
გნავიან, მრისხანეობენ, ზოგი თვისს კუდსა ჰფიცავსა!...

თაგვთ რა შეიტყეს კატების მოსდომა მათსა კარებსა,
შექნეს წრუწუნი, გასწიეს ერთიან აიყარესა,
ხვრელ-ხვრელ იარეს დიდ-ძალზედ სულ ისე გაიპარესა,
სხვა სოროებით ამოძვრნენ, წყლის-პირზედ დაეწყვარესა.

კატებმა ნახეს მოსტყუვდნენ, მაშინ მოსწყდათ იმათ წელი,
დაიძახეს: «კაი მაგათ! მაგ ბაღლწებსა მივყოთ ხელი!..»
ისკუპეს და გადაცვივდნენ, დეერივნენ ვით თხებს მგელი,
თაგვებმაც შემოუტიეს და გაჩნდა ომი ფიცხელი!.. .

შეიქნა ჩხავილ-კნავილი, წრუწუნი, ღაწი-ღუწია,
სისხლის ღვრა, ტყავების ფხრეწა, თაგვებსა ცოდვამ უწია,
მრავალნი ყრიან უთავოთ, ზოგნი სულ აუგუწიათ,
და აგერ დაჭრილი ციცისაც ტყავი სისხლს გაუწუწია!...

დამარცხდა თაგვთა მეფაი ვერ ყოფილა მეომარი,
გაჭირვების ტალკვესივით მოუშველა თრიის ჯარი,
ნალმის ჩამდგმელი დასჭირდათ თხუნელაა მოსახმარი,
დედოფალებიც გამოჩნდნენ, ამათვე მოაბეს მხარი!

კატებმა ტოტსა გაიკრეს, კლანჭნი გაშალეს მრუდები,
მარჯვნივ მათ მოსდგნენ ვირთხები, ციცებს უხვედრეს კუდები,
თაგვები ურდოს დაეცნენ, ხელთ იგდეს ნუზლის გუდები...
ბაყაყნი სეირს უცქერენ, ომში არიან ცუდები!.....

ამ დროს გამოჩნდა სერზედა მეფე ქორ-შეებრებითა,
თურმე ნადირობს იმ დღესა მწევრებით, დიდის კრებითა,
იამა თაგვთა მეფესა, ეშველა ღმრთისა ნებითა,
გაბრუნდა ციცასა ჯარი, გაიქცა დიდის ვნებითა!.....

ასე გათავდა ეს ომი, ასე მიამბო გადიამ,.
თავს არ შეგაწყენ მეტათა, კალმის დადებაც მწადიან,
მე ისტორიას არა ვწერ, ზღაპრის თქმად მოვემზადე,
და ჩემისთანა მელექსებათ, ხომ მესტვირებიც დადიან!...

თ. რ. ერისთავი.

---

## სასამართლოს მატიანე.

### საქმე ანდრიევსკის ქალის მოკვლისა.

27 თებერვალს ტფილისის ოლქის სასამართლო შეუდგა ნინო ანდრეევსკის მოკვლის თაობაზედ საქმის განხილვას და 5 მარტს გაათავა კიდეც და ბრალი დასდვა თ. დავით ზურაბის ძეს ჩხოტუას და გლეხს პეტრე დავითის ძეს გაბისონიას. მესამე ბრალდებული თ. ნიკოლოზ ზურაბის ძე ჩხოტუა გამართლდა. სასამართლოს განჩინების ძალით ორთავე დამნაშავეს ერთმევად ყოველგვარი უფლება და გაგზავნილ უნდა იქმნენ — პირველი, დავით ჩხოტუა, მაღნებში სამუშაოდ (ძალაუნებურ) ოცის წლის ვადით და მეორე, პეტრე გაბისონია, ციხეებში სამუშაოდ (ძალაუნებურ) ათის წლის ვადით. ვადის განმავლობის შემდეგ ორივე ბრალდებული სამუდამოდ დასახლებულ უნდა იყვნენ ციმბირში.

ამ საქმემ დიდი ყურადღება მიიქცია საზოგადოებისა, და მართლაც ღირს შესანიშნავიც არის. ღირსშესანიშნავია იმ პირთა საზოგადობრივ მდგომარეობით, რომელნიც ჩართულნი არიან ამ საქმეში,—როგორც თვით მსხვერპლიც, აგრეთვე ზოგიერთი ბრალდებულთაგანიც; ღირს შესანიშნავია ეს საქმე იმ საიდუმლოებით, რომელიც თავიდგანვე მოჰყვა ანდრეევსკის ქალის დაკარგვას და რომელიც ჯერაც არ არის მთლად გამოაშკარებული; ღირსშესანიშნავია აგრეთვე თვით საქმის გამოკვლევით, როგორც წინა გამოძიებაში, აგრეთვე სასამართლოშიაც. მაშასადამე ამ საქმემ უნდა წამოაყენოს მრავალგვარი კითხვა და ფიქრი, რომელნიც ყოვლად ყურადღების ღირსნი არიან. ამ კითხვისა და ფიქრის თაობაზედ ჩვენც გაუწევთ მკითხველს საუბარს. მაგრამ ყველაზე უწინარესუნდა ვაცნობოთ საქმის შინაარსი შემოკლებით მაინც.

საქმე მდგომარეობს შემდეგში:

1876 წ. მკათათვის დასაწყისში ოდესიდამ მოვიდნენ ტფილისს ანდრეევსკის ცოლი (ქვრივი. მისი ქმარი თ. ვარანცოვის ექიმი იყო) თავისის გასათხოვარის ქალით, ნინოთი. დედა და შვილი მოვიდნენ ტფილისს იმ მამულის გასაყოფად, რომელიც განსვენებულმა ანდრეევსკიმ უანდერძა თვის ორს ქალს, რომელთა შორის ერთი არის თ. შერვაშიძის მეუღლე ანდრეევსკის ცოლი და ქალი ჩამოხტნენ „ევროპის“ სასტუმროში, სადაც იმ დროს მათი სიძე, თ. შერვაშიძეც იყო ჩამოხტარი, რომელიც ანდრიევსკის მოსვლის მეორე დღეს გადავიდა თავის საკუთარ სახლებში, კუკიაში, მტკვრის პირას, „კრუჟოკის“ გვერდით.

საქმე რომ გაათავეს (მამულის დაყოფა), შერვაშიძე და მისი ვექილი თ. ანჩაბაძე წავიდნენ ქუთაისისაკენ, და ანდრეევსკის ცოლი და ქალი კი გადავიდნენ „ევროპის“ სასტუმროდამ თ. შერვაშიძის სახლში.

22 მკათათვეს დილის მეთერთმეტე საათზედ ანდრეევსკის ცოლი და ქალი წავიდნენ სტუმრად კნ. ბარბარე თუმანოვისას, სადაც სცხოვრობდა ანდრეევსკის ცოლის დედა, რომლის დღეობაც იყო იმ დღეს. ანდრეევსკის ქალი დაჰპირებია თუმანოვის ქალებს, რომ დღეს საღამოს ათ საათზედ ბაღის ღობესთან მოვალო (ეს ღობე ჰყოფს საზაფხულო „კრუჟოკის“ ბაღს და შერვაშიძის ბაღს) და იქა ვნახავთ ერთმანეთსაო. ანდრეევსკის ცოლი და ქალი გამოვიდნენ თუმანიანთგან და წავიდნენ „კავკასიის“ სასტუმროში პურის საჭმელად. სასტუმროდამ ეწვივნენ კნ. ქეთევან ორბელიანისას და შემდეგ საათის შვიდზედ ან რვაზედ წავიდნენ შინ, სადაც დაუხვდათ მათ დავით ჩხოტუა (შერვაშიძის მოურავი, რომელიც სცხოვრობდა იმავე სახლში). უმცროსი ძმა, ნიკოლოოზ ჩხოტუა შინ არ იყო და მუშტაიდის ბაღში სეირნობდა ცხენით. მანამ ნიკოლოოზ ჩხოტუა დაბრუნდებოდა მუშტაიდიდამ, ანდრეევსკის ცოლი, ქალი და დავით ჩხოტუა ისხდნენ სახლის წინ მტკვრის პირას. როდესაც დაბრუნდა ნიკოლოოზ ჩხოტუა, მისი ძმა დავით ჩხოტუა სადღაც წავიდა. ათი წუთის შემდეგ ანდრეევსკის ცოლი და ქალი სახლში შევიდნენ. ანდრეევსკის ქალმა დაიწყო წიგნის წერა შერვაშიძესთან, რადგანაც დავით ჩხოტუამ, როცა შინიდამ გადიოდა, თქვა, რომ ხვალ ქუთაისს მივდივარო, შერვაშიძეს ხმალი უნდა წაუღოვო. წიგნის წერა რომ გაათავა (თითქმის ათი საათი იყო) ანდრეევსკის ქალმა მოდიდო სანთელი აიღო (პატარა ნამწვი კი დედას დაუგდო) და ჰსთქვა, რომ სამზარეულოში მივდივარო მზარეულ პეტრეს (გაბისონიას) ჩემი ფეხსაცმელები უნდა მოვკითხოვო, რომელიც დილას გასაწმენდათ მივეციო როგორც ბრალმდებელი ოქმი (ОБВИНИТЕЛНЫЙ АКТЪ) ამბობს, ანდრეევსკის ქალი უთუოდ ღობესთანაც აპირებდა მისვლას (დაპირებისა მებრ) თუმცა დედისთვის არა უთქვამს რა. ეს კია, რომ ანდრეევსკის ქალი, ნინო არაფერში არ ეკითხებოდა თურმე თავის დედას.

ანდრეევსკის ქალი რომ აღარ დაბრუნდა და ნამწვიც გაუთავდა, გამოვიდა კორიდორში სადაც ზურაბი (სტოროჟი) დაუხვდა; ჰკითხა ნინო სად არისო, და ზურაბმა უპასუხა, იქნება ბაღში წავიდაო (ანთებული სანთელი კი კორიდორში იდგა.) ბაღში რომ ვერ იპოვეს, დაუძახეს ნიკოლოოზ ჩხოტუას, რომელიც დაწოლილი იყო კიდეც, და დაუწყეს კიდევ ბაღში ძებნა. ეზოში რომ გამოვიდნენ, ზემო სართულის ფანჯარაში გამოჩნდა დავით ჩხოტუა (მისი ოთახი ზემო სართულში იყო), რომელიც, გაიგო თუ არა ნინოს ამბავი, მაშინვე ძირს ჩამოვიდა. ანდრეევსკის ცოლის სიტყვით, დავით ჩხოტუა ძალიან კანკალებდა თურმე და გონება გაფანტულიც იყო. ანდრეევსკის ცოლმა უთხრა დავით ჩხოტუას „კრუჟოკის“ ღობესთან მივიდეთო. დავით ჩხოტუა თუმცა დათანხმებულა თურმე, მაგრამ არ წასულა კი და დაუძახნია მებაღე ივანესთვის და რაღაც უთქვამს თურმე. შემდეგ ივანესა და ზურაბს ისე მაგრა დაუჭერიათ ანდრეევსკის ცოლის ხელები, რომ დიდხანს გაჰყოლია ტკივილი. ამ დროს დავით ჩხოტუას უფიქრია, იქნება ნინო ბანაობდაო და წყალში დაიხრჩოვო, და ჩავიდა მაშინვე წყლის პირას, სადაც ნახა ანდრეევსკის ქალის ტანისამოსი და ფეხსაცმელი. ამბავი შეატყობინეს ია სულხანოვს, რომელიც ანდრეევსკის ქალმა მოურავად ამოირჩია მამულის გაყოფის შემდეგ, შეატყობინეს აგრეთვე კნეინა თუმანოვისას, ამ დროს კრუჟოკში მყოფს და მესამე განყოფილების მომრიგებელ-მოსამართლეს წინამძღვაროვს, პოლიციას და გამომძიებელს.

მეორე დღეს დილით ავლაბრის მეთევზეებმა ყარაიაზში დაინახეს, რომ მტკვარს მიაქვს ვიღაც ქალი, რომელსაც ეცვა ვერცხლის ვიწრო ბრასლეტები. მეთევზეებმა დაიჭირეს მკვდარი (ეს იყო ნინო ანდრეევსკისა), გააძრეს ყოველი საცმელი და ჩაფლეს მიწაში, რომ სხეული სრულად

არ დარღვეულიყო. პოლიციამ ამოათხრევინა მკვდარი და უჩვენა სხვათა შორის ექიმს მრევლოვს, რომელმაც შეამჩნია ანდრეევსკის ქალის ტანზედ სხვა და სხვა ადგილას ლურჯ-წითელი ლაქები. ამ გვარად დაიკარგა ანდრეევსკის ქალი.

თუმცა ჯერ-ჯერობით ყველა დარწმუნებული იყო, რომ ანდრეევსკის ქალი ბანაობაში დაიხრჩო, მით უფრო, რომ თვითონ ანდრეევსკის ცოლი წინაპირველად არწმუნებდა, რომ ნინოს იმ დროს შეეძლო ბანაობაო. მაგრამ შემდეგ გამომძიებელნი დარწმუნდნენ, რომ ანდრეევსკის ქალი არის მოკლული და მერე წყალში ჩაგდებული. აი რა საბუთით დარწმუნდნენ:

1) შარვაშიძის სახლიდამ მტკვრის ნაპირამდე ისეთი დაქანებული თავდაღმართი ბილიკია, რომ დღითაც ძალიან ძნელი ჩასასვლელია, არამც თუ ღამე; მით უფრო რომ ეს ბილიკი ყოველთვის სველი და ალაფებულია.

2) რადგანაც მტკვარზე ჩასასვლელი ბილიკი სველი და ტალახიანია, ანდრეევსკის ქალი კიდეც რომ ჩასულიყო უთუოდ კაბას და ფეხსაცმელს მოისვრიდა. მაგრამ ის ტანისამოსი, რომელიც მტკვრის-პირას ნახეს, სრულიად სუფთა და მშრალი იყო. მაშასადამე ამ ტანისამოსით ანდრეევსკის ქალი არ ჩასულა მტკვარზედ. აზრში მოსასვლელი არც ის იყო, ვითომ ანდრეევსკის ქალმა ჯერ ტანისამოსი გაიხადა, ჩამოაგდო ძირს და მერე თითონ ჩავიდა—ტანისამოსი არ გავისვაროვო. ეს აზრში მოსასვლელი არ იყო, რადგანაც, სულ ერთია, უკან რომ დაბრუნდებოდა ანდრეევსკის ქალი ხომ მაინც და მაინც გაისვრიდა ტანისამოსს, და გარდა ამისა ტანისამოსი გადმოგდებული რომ ყოფილიყო ისე რიგზედ დალაგებული არ იქნებოდა, როგორც ეწყო: ჯერ ჩითის სარტყელი მერე ჩითის ჯუბა, მერე ამავე ჩითის კაბა და ზემოდამ შავი აბრეშუმის ყელსახვევი.

3) ანდრეევსკის ქალს რომ ბანაობა ნდომოდა უსათუოდ პერანგსა და მის ამხანაგსაც გაიძრობდა, ან არა და ხაცვალს მაინც წაიღებდა, რომ სველი პერანგით აღარ დაბრუნებულიყო.

4) იმ ღამეს მტკვრის მეორე ნაპირას ბევრი ხალხი ბანაობდა. ანდრეევსკის ქალი, დედისა და ივანე დონაიანის სიტყვით, იმდენად მორცხვი იყო, რომ დედის წინაც კი არ იხდიდა ხოლმე არას დროს ტანისამოსს. მაშასადამე საფიქრებელი არ იყო, რომ ანდრეევსკის ქალს უცხო კაცების წინ ებანავა.

5) ანდრეევსკის ცოლის სიტყვით, ნინო იმ დღეს, როდესაც დაიკარგა, რიგში იდგა. სოფიო ბეზარგანოვისამაც თქვა, რომ ნინოს სიკვდილის შემდეგ ერთ-ორ დღეს უკან მრეცხელმა (პრაჩკამ) ნინასი თეთრეული მოუტანა და აგრეთვე რამდენიმე ტილოს ნაჭერი, რომელსაც ქალები რიგის დროს ხმარობენ. ამ მდგომარეობაში ნინო ანდრეევსკისა ვერ იბანავებდა.

6) ანდრეევსკის ქალი, რომელიც დაიკარგა საღამოს მეათე საათზედ, იპოვეს მეორე დილის მზის ამოსვლის უმალ, ყარაიაში. მაშასადამე მკვდარმა გაიარა წყალში 40 ვერსტის სიშორე შვიდ-რვა საათის განმავლობაში. ეს შეუძლებელია, როგორც შეამოწმეს იმ პირთ, რომელთაც კარგად იციან მტკვრის დენა და თვისება.

და 7) ქალაქიდამ თექვსმეტის ვერსტზედ სიშორეზედ მტკვარი იმდენად დალეულია (სიღრმე 6—8 გოჯი აქვს), რომ ვერ გაიტანდა მკვდარს ადამიანს, და კიდეც რომ გაეტანა, ნიშანს დააჩნევდა რასმეს, რადგანაც მტკვარი ძალიან ქვიან ადგილას მიმდინარეობს. ანდრეევსკის ქალის გვამი კი იმდენად სუფთა და თეთრი იყო, რომ მეთევზეების სიტყვით, მძინარე ანგელოზსა ჰგავდაო და არა წყალში დამხრჩვალს ადამიანსაო. ეს გარემოება შეამოწმა აგრეთვე ექიმმა მრევლოვმაც, რომელმაც ყველაზედ უწინარეს ნახა გვამი და ვერაფერი ვერ შეამჩნია ანდრეევსკის ქალის ტანზედ მოლურჯო ლაქების გარდა, რომელნიც იმის ნიშანი იყვნენ, რომ გვამი იხრწნებოდა.

ყველა ამ საბუთის ძალით გამომძიებელნი დამტკიცდნენ, რომ ანდრეევსკის ქალი თავისთავად კი არ დამხჩვალა, არამედ წინად არის მოკლული და მერე წყალში ჩაგდებული. ექიმებმა თუმცა გარდაწყვეტილად არა თქვეს რა, რადგანაც გვამი წამხდარი იყო და ლპებოდა. მაგრამ ის კი შეამოწმეს, რომ ანდრეევსკის ქალი უთუოდ წინადვე მოკლული უნდა ყოფილიყო და მერე ჩაგდებული წყალში.

ახლა ვინ იყო მისი მკვლელი?

(შემდეგი იქნება.)

## შვილი მოხუცებულის გამზისა

(დასასრული *)

### VI

ერთს დაბურულს და მიყრუებულს ტყეში, სადაც ხეთა სიხშირე ძირს არ უშვებდა მზის სხივსაცა, სადაც არ სმენილა თავისდღეში ფრინველის გალობაცა, იქ ერთი ბნელი და უდაბური ნაპრალი იყო. მხოლოდ მაშინ გაისმაურებდა ხოლმე ეს უდაბური ადგილი, როცა დაიქროლებდა გრიგალი და ხეთა წვერს, როგორც საქანელს, აქანებდა. მხოლოდ მაშინ კი ის უდაბნო ხმას ამოიღებდა და ისმოდა საშინელი გრგვინვა გრიგალისა, უზარმაზარ-

*) „ივერია“ №№ 6, 7, 8, და 9. 1878 წ.

თა ხეთა რხევის შუილი და მიჯიოტის მახილი. იმ უდაბურ ნაპრალის პირზედ იდგა ქვითკირის ციხე, საცა შეამწყვევდნენ ხოლმე მამულის მგმობელთა და ეკლესიისაგან შეჩვენებულთა. ამ ციხის მკვლ კედლებ შორის თავის დღეში არავის სმენია სიტყვა შენდობისა და მიტევებისა; მხოლოდ წყევა-ქოქვა იყო წარწერილი შესისხლულის ასოებით ამ ციხის ნამიან თლილ ქვებზედა. რკინის კარი ამა ციხისა მარტო იმისთვის გაიღებოდა ხოლმე, რომ მიიღოს ახალი სხვერპლი და იმ წამსვე ისევ დაიკეტოს მისთვის საუკუნოდ.

აი ეხლაც გაიღო იგი კარი და სამმა კაცმა მოიყვანეს რკინის ჯაჭვით მეფისაგან შერისხული სხვერპლი იმ განზრახვით, რომ იმ უბედურმა თავის დღეში აღარ ინახულოს ვარსკვლოვანი ცა, აღარ ინახულოს მზის სხივი, აღარ გაიგონოს სიტყვა შეწყალებისა... მეფემ ამისთანა სასჯელიც დასდვა, რომ არასოდეს არ ინახულოს მშვენიერი მეფის ქალი—კრინა. ის სხვერპლი რადიშა იყო.

მზე ჩადიოდა და ღამე წყნარ-წყნარად შლიდა თავის შავს კალთას, ვარსკვლავებით, როგორც ალმასებით, მოჭედილს. რადიშამ უკანასკნელადღა შეხედა ტანჯვით და წუხილით ჩამავალის მზის სხივსა, რომელიც ერთნაირად დაჰნათის როგორც სიყვარულსა, ისეც სიძულვილს. მწუხარებით ქანც-გაწყვეტილი გული მისი ესალმებოდა ყოველს მას, რაც ხსოვნამ ას ჟამად წამოუყენა თვალწინ. მოეჩვენა ვითომ ერთს გიჟს ცხენზედა ჰზის და მიაქროლებს მამულს ტყეში, თავზედ ხელ აღებულსავით, გაბედვით და უშიშრად; თვალწინ მოეჩვენა პრიშტინა, ყურთ მოესმა საომარი საყვირი და ნაღარის ცემა; ჰგრძნობდა ვითომ თავზედ ადგა გვირგვინი გამარჯვებისა. მსწრაფლ გაუქრნენ ეს გულის მიმტაცნი ხილვაზმანებანი და მათ მაგიერ წარმოუდგა წინ თვისი შავი ბედი სრულის გულსაკვდავის სამკაულითა.

— აი საბნელეთი,—ეუბნებოდა თავისთავს საწყალი რადიშა: აი ცოცხალის კაცის ადრეულა სამარე! აი ეს არის ჯილდო მეფისა!.. ჰოი, ცაო, ცაო, მშვიდობით, მე შენ ვეღარ გნახავ აქას იქით! ოხ, ღმერთნო, ღმერთნო! რა მოწმენდილი იყო იგი, რა უღრუბლო, რა განათებული, როცა მე იარაღში ჩამჯდარი თავისუფლად დავდიოდი მამის ჩემის სასახლეში. რა რიგის ალერსით გამიღიმებდა ხოლმე იგი ცა, როცა მე ვნადირობდი ტყეებში... დიახ, ნათელი ცა იყო, ნათელი იმ დროს!.. ვიშ რა რიგად ბრწყინვალებდა, რა რიგად, როცა მან თვისი შუქი მიაყენა მეფის ქალის ღვთიურს სახესა!.. ვიშ, მზეც ჩავიდა. მშვიდობით, მშვიდობით შენ ცისა ხელმწიფევ! მშვიდობით შენ მანათობელო ქვეყნიერობისავ! «მე შენ მიყვარხარო! შენ ხარ ჩემი სიცოცხლეო!» მეუბნებოდა ის მშვენიერი ქალი, უჰ, რა ნათელი და მადლი იდგა მაშინ ჩემს გარეშემო!... ეხლა?.. ეხლა კი მწყვდიადია, მწყვდიადი! დამიბნელდა მზე, დამიბნელდა ყოველისფერი! განჰქრნენ ვარსკვლავნიცა!.. ეს რა საშინელი ღამე დგება, მშვიდობით შენც, ღამის მანათობელო! შენს ვერცხლის ფერს სხივებს ვუმჟღავნებდი ხოლმე ჩემს ფიქრებს, შენს წინაშე გადავშლიდი ხოლმე ჩემს სულსა და გულს!.. რა რიგად ჩამობნელდა! რა რიგად შავად შეიმოსა ყოველივე... განა უყვარვარდა ვისმეს? ნუ თუ ყველამ გულიდამ ამომიღო და დავიწყება მიმცა?... არა, არა?... „შენ უყვარხარ მეფის ქალსა“—ამოჰხმახა გულმა თავისის სიღრმიდამ და ციხის ბნელ და ნოტიოან თაღებ შორის ყრუდ გაისმაურა ამ ძახილმა. ციხის გუშაგნი ხმა გაკმენდილი შეჰყურებდნენ რადიშას, როცა იგი ეგეთის ღმობიერებით ესალმებოდა ქვეყნიერობასა; თვით ამ გულქვა კაცებსაც კი გული აუტირდათ სიბრალულითა. ხოლო როცა მოესმათ ის უკანასკნელი ძახილი: «შენ უყვარხარ მეფის ქალსაო» მუქარით და რისხვით წაჰსწვდნენ რადიშას.

ხელახლად დაიჭრიალა დაჟანგებულმა რკინეულობამ ციხის კარისამ, ხელახლად გაიტკაცუნა კლიტემ და რადიშა დარჩა მარტო გაუთენებელ საბნელეთში, საცა ცის ნამის მაგიერ ზედ ეცემოდა ხოლმე ცივნი წვეთნი სველისა და ნოტიო კედლებისა და საცა რკინის ბორკილის ჩხრიალის მეტი სხვა არა რაიმე ხმა აღარ ისმოდა. ამ ყოფაში მიდიოდნენ საათნი ისე გძლად როგორც წელიწადნი და დღენი მდინარებდნენ როგორც საუკუნენი.

. . . . . . . . . . . . . . .

## VII

საპყრობილეში ეწვია რადიშას ერთი მოხუცებული მღვდელი. მის თეთრს წვერ ქვეშ გულზედ ბრწყინავდა ოქროს ჯვარცმა.

— კურთხევა ღვთისა იყოს შენზედა, ჰოი ძეო მოხუცებულის გამზისავ! გიხსნას შენ იესო ქრისტემ, წარმოჰსთქვა მღვდელმა გულმტკივნეულად.

— ღმერთნი ჩემთა მამა-პაპათა არ დაჰსტოვებენ თვისთა თაყვანის მცემელთა, მიუგო პყრობილმა.

— ღმერთი ერთია! მხოლოდ მას ერთს უნდა ჰსცეს კაცმა თაყვანი. მას ყოვლად მოწყალეს და ყოვლად შემძლებელს თაყვანი ეც შენცა! იმ ერთმა ღმერთმა შეგიწყალა შენ... მეფეს აღარა ჰსძულხარ... მიიღე სარწმუნოება ქრისტესი და მეფის ქალი კრინა თვის ბედს შეაუღლებს შენს ბედთან... მეფის ქალს უყვარხარ!

შვილი მოხუცებულის გამზისა ათრთოლდა.

— არა ვიქ მაგას, წმინდაო მამავ! განდგომა და გმობა შერისხული და შეჩვენებულია მთელის ქვეყნისაგან! მე ვერ ვიწამებ იმ ღმერთს, რომელსაც თაყვანს ჰსცემენ მეფენი, შთამომავალნი ნემანიჩებისაგან.

მღვდელი ადგა და გამოვიდა საპყრობილედამ.

წავიდა მღვდელი და წარმავალის ფეხის ხმა როგორც ლახვარი ისე განეწონებოდა ხოლმე გულში შვილსა მოხუცებულის გამზისას.

უფრო გრძლად, უფრო უფერულად და მოსაწყენად ვიდოდნენ ამას იქით დღენი პყრობილისა. უბედურს საპყრობილის სიბნელეზე უფრო ბნელთა ფიქრთა შეიპყრეს მთელი მისი არსება და მწარე ცრემლი ჩამოგორდა მიმქრალთ თვალთაგან გაფითრებულს და ტანჯვით მიქანცულს ლოყებზედა. ზოგჯერ სიზმრად მოეჩვენებოდა, რომ ვითომ მეფის სასახლეშია, მხიარულს მეჯლისში, სახელოვან იუნკთა შორის და გვერდით უდგა დაუვიწყარი კრინა.

ამისთანა სიზმრებ შემდეგ გამოღვიძება რადიშასი უფრო გულსაკვდავი იყო; საპყრობილე უფრო ბნელად ეჩვენებოდა და სიცოცხლე უფრო აუტანელად და სამძიმოდ.

ერთხელ ღამით, როცა გრგვინავდა გრიგალი, როცა გაცოფებული ქარი ლეწდა უზარმაზართ ხეთა, კლდის წვერებიდამ ჰგლეჯდა ქვებს და თვით საპყრობილის კედლებს აზანზარებდა, — რადიშა იჯდა თავ-ჩაკიდული და გულზედ დაკერიფა ხუნდ გაყრილი ხელები. მას ეგონა, რომ მის მამა-პაპათა ღმერთი გაჰსწყრომიან ქვეყნიერობას და სურთ შემუსრონ ის დედა-ბოძი, რომელზედაც დამყარებულნი არიან დედა-მიწა, მზე, მთვარე და ვარსკვლავნი. ჭექა-ქუხილი უფრო და უფრო ძლიერდებოდა, მეხი აქა-იქ გამოიჭექებდა ხოლმე, თითქო იბრძვისო, რომ შელეწოს რკინის კარი საპყრობილისა.

უეცრად კარი გაიღო და სიბნელეში გამოკრთა სინათლე ჭრაქისა, მოისმა ადამიანთ ხმაურობა და გაოცებულ რადიშას წარმოუდგა თვალწინ იგი, რომელიც არასოდეს ფიქრიდამ არ მოუშორებია. იგი იყო მისი ნეტარება თავისუფლების დროს და მისივე სიყვარული ასულდგმულებდა მის სიცოცხლეს, რომელიც უმისოდ უნდა გამქრალიყო საპყრობილეში.

კრინა ფერ-მკრთალი იყო, როგორც მთის თოვლი, დაღონებული — როგორც მოტეხილი ზამბახი; მარცხენა ხელში ეჭირა ჭრაქი და მარჯვენაში ოქროს თასი, იქნება ის თასიც, რომლითაც მეფეს უნდოდა დაელია სადღეგრძელო გამოჩენილის გმირისა მაშინ, როცა გამარჯვების შემდეგ წვეულობა ჰქონდა.

— მე შენ მიყვარხარ!.... ეს ქვეყანა მომწყინდა და შევიძულე!..საათნი საუკუნოებად მეჩვენებიან....მე თვალით ველარ დამინახავს ვერც მამა, ვერც დედა, ვერც ძმები! მე შემძულდა ყოველისფერი. — ქვეყანა, ადამიანი და თვით ჩემი თავიცა!... შენ კი.... მარტო შენ კი მიყვარხარ!.... მე არ მალმიძს უშენოდ სიკვდილი.... მე მოვსულვარ რომ შენთან ერთად სული დავლიო!!....

— დავიხოცნეთ ერთად, ჩემო ნეტარებავ! დავიხოცნეთ, უწარჩინებულესო ასულო სერბიის ერისავ! შენს მკერდზედ სიკვდილი საუკუნო ცხოვრებაა!

— ერთი წვეთი ამ თასიდამ მიგვიყვანს ჩვენ მამათა შენთა ღმერთებთან.... მეც შევტრფი იმ ღმერთებს, რადგანაც იგინი შენნი ღმერთნი არიან. დალიე და დავიხოცნეთ! ჰსთქვა კრინამ.

საწამლავის წვეთმა გაიბრწყინა რადიშას და კრინას ფერ-მიხდილს ტუჩებზედ; ჭრაქი ძირს დაეცა სველს მიწაზედ და გაქრა.

— მშვიდობით!....

— მშვიდობით.... მშვიდობით..... მშვიდობით..... ნელის ხმით აღმოკვნესოდენ მომაკვდავნი ბაგენი ორის შეტრფიალებულის გულისა.

## VIII

მეფემ მოახდინა კრება.

ყოველნი დიდებულნი, იუნკნი და ხუცესნი შეიკრიბნენ მეფის სასახლეში მეფის ბძანების მოსასმენლად.

მეფის ტახტთან იდგნენ სამნი იმედნი სერბიის ერისანი — მეფის შვილნი: სტეფანე, ვუკი და რადცეო.

მოხუცებული მეფე წამოდგა ფეხზედ.

ბატონებო დიდებულნო, იუნკნო და მოძღვარნო! მხრები ჩემნი დაუძლურდნენ და სამეფო პორფირი ემძიმება. ხელს ველარ შეუმაგრებია სკიპტრა, გვირგვინს ველარ იმაგრებს თავი.... მე აღარ მალმიძს გვირგვინის ტარება! შემინდეთ, დიდებულნო და იუნკნო! წავიდეთ, შევავედროთ ყოვლად შემძლებელს ღმერთსა ერი ჩემი, ვევედრნეთ, რომ მფარველ ექმნას სერბიის თავისუფლებას, სახელსა და დიდებას! ვევედრნეთ, რომ უზენაესმა სიბრძნემან სიბრძნე მიანიჭოს ჩემსა და სერბიის მეფის მემკვიდრესა—სტეფანეს!

მოხუცებულმა მეფემ სხვა აღარა ჰსთქვა რა და დაჩუმდა; აიხადა გვირგვინი თოვლივით გათეთრებულ თავიდამ, ჩამოვიდა თვისგანვე დამყარებულ ტახტიდამ და ორი სხვილი ცრემლი გადმოსცვივდა თვალთაგან თეთრს წვერზედ.

დიდებულთაც ცრემლი მოუვიდათ.

მას შემდეგაც კიდევ დიდხანს მოსთქვამდნენ ხოლმე სიმღერით ლექსსა ნემანიჩების გვარის პირველს მეფეზედ.

# ბ ა ლ ა ნ ს ი

## ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისა.

### 1878 წლის 1-ს იანვრისათვის

**აქტივი.**

| | | მანეთი. | კაპ. | მანეთი. | კაპ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | კასსაში: | | | | |
| | ა) ნაღდი ფული . . . , . . . . . . . . . . | 847 | 1 | | |
| | ბ) გირავნობის ფურცელნი. . . . . . . . . | 4,800 | — | 5,647 | 1 |
| 2 | მომავალს ანგარიშზედ მიბარებული: | | | | |
| | ა) სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში . . . , . . | 37,200 | | | |
| | ბ) ტფილისის კამერციის ბანკში . . . . . . . | 474 | 53 | | |
| | გ) ტფილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში . | 7,305 | 17 | 44,979 | 70 |
| 3 | საწევროდ შეტანილი ტფ. საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში . | —— | — | 30 | |
| 4 | სახელმწიფო და მთავრობისაგან გარანტია მინიჭებული ღირებუ-ლი ქაღალდები: | | | | |
| | ა) სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში (78,000მან.) . . | 70,697 | 55 | | |
| | ბ) ბანკის კასსაში (2000 მანეთი) . . . . . . . | 3,960 | 71 | | |
| 5 | ღირებული ქაღალდები, რომელთაც მთავრობისგან გარანტია არა აქვსთ მინიჭებული . . . . . . . : . . . . . | » | | | |
| | ა) ბანკის კასსაში . . . . . . . . . . . | 167 | 90 | 74,826 | 16 |
| 6 | გრძელ ვადითი სესხი გაცემული: | | | | |
| | ა) სოფლის მამულზედ $54^1/_2$ წლით. . . . . . . | 532,800 | | | |
| | ბ) —— —— $23^1/_2$ წლით. . . . . . . . | 25,000 | | | |
| | გ) ქალაქის მამულზედ $27^1/_2$ წლით . . . . . . | 571,200 | | | |
| | დ) —— —— $18^1/_2$ წლით . . . . . . . | 38,700 | — | 1.168,700 | |
| 7 | ვადაზედ უწინარეს მოშორებული სესხი: | | | | |
| | ა) გირავნობის ფურცლით . . . . . . . . . | —— | — | 7,100 | |
| 8 | მოკლე ვადითი სესხი . . . . . . , . . . . . . . | —— | — | 99,565 | |
| 9 | გირავნობის ფურცელნი, გასასყიდად მიღებულნი (2,25,900მან.) . | —— | — | 151,959 | 12 |
| 10 | სესხის ამღებნი: | | | | |
| | ა) შემოსატანი ფული, პირველს ვადას გადაცილებული და მეორეში გადამდგარი (14 § ბანკის წესდებისა) . | —— | — | 42,378 | 39 |
| | ბ) შემოსატანი ფული უკანასკნელს ვადას გადაცილე-ბული . . . . . . . . . . . . . . . | —— | — | 1,284 | 02 |
| 11 | უკუ მოსაქცევი ხარჯი . . . . . . . . . . . . | —— | — | 1,702 | 53 |
| 12 | გასავალი ბანკისა: | | | | |
| | ა) ბანკის მოწყობისა და დადგენისათვის . . . . . | —— | — | 3,904 | 81 |
| | ბ) დანახარჯი 1878 წლისათვის . . . . . . . . | —— | — | 2,991 | 96 |
| | ბ ა ლ ა ნ ს ი . . . . | —— | — | 1.605,068 | 70 |

| | | მანეთი. | კაპ. | მანეთი. | კაპ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ძირის სათავნო ფული: | | | | |
| | ა) გრძელ-ვადითის სესხისათვის დანიშნული . . . . | 163,897 | 96 | | |
| | ბ) მოკლე ვადითის სესხისათვის . . . . . . . | 103,213 | $54^{1}/_{2}$ | 267,111 | $50^{1}/_{2}$ |
| 2 | ზარალის ასაყენებლად დანიშნული სათავნო ფული . . . . . | — | — | 4,194 | 53 |
| 3 | საერთო სასარგებლოდ მოსახმარი სათავნო ფული . . . . | — | — | 17,540 | 80 |
| 4 | საექსტრაორდინარო სათავნო ფული . . . . . . . . , . | — | — | 1,948 | 98 |
| 5 | გირავნობის ფურცელნი, გაცემულნი: | | | | |
| | ა) $54^{1}/_{2}$ წლიანი . . . . . . . . . . . . | 532,800 | | | |
| | ბ) $43^{1}/_{2}$ წლიანი . . . . . . . . . . . . | 25,000 | | | |
| | გ) $27^{1}/_{2}$ წლიანი . . . . . . . . . . . . | 571,200 | | | |
| | დ) 18 წლიანი და შვიდი თვიანი . . . . . . . | 39,700 | — | 1.168,600 | |
| 6 | გირავნობის ფურცელნი, ტირაჟში გამოსულნი და ჯერ არ წარმო-დგენილნი ფულის მისაღებად . . . . . . . . . | — | — | 7,700 | |
| 7 | კუპონები გირავნობის ფურცლისა, რომელნიც არ წარმოდგენი-ლან ფულის მისაღებად . . . . . . . . . . . | — | — | 27,129 | |
| 8 | თავნის მოსაშორებელი ფონდი, ვადისა: | | | | |
| | ა) $54^{1}/_{2}$ წლისა . . . . . . . . . . . . | 576 | 53 | | |
| | ბ) $43^{1}/_{2}$ წლისა . . . . . . . . . . . . | 126 | 88 | | |
| | გ) $27^{1}/_{2}$ წლისა . . . . . . . . . . . . | 4,837 | 60 | | |
| | დ) 18 წლისა და შვიდის თვისა . . . . . . . | 733 | 93 | 6,274 | 94 |
| 9 | სარგებლის ფონდი . . . . . . . . . . . . . . | — | — | 35,061 | — |
| 10 | ვადაზედ უწინარეს მოშორებულნი სესხნი: | | | | |
| | ა) გირავნობის ფურცლითა . . . . . . . . | — | — | 7,100 | |
| 11 | გადასაცემი ფული . . . . . . . . . . . . . . | — | — | 17,607 | 58 |
| 12 | სხვა და სხვა კრედიტორნი . . . . . . . . . . | — | — | 15,517 | 93 |
| 13 | სესხის ამღებნი . . . . . . . . . . . . . . . | — | — | 671 | 38 |
| 14 | წმიდა მოგება . . . . . . . . . . . . . . . | — | — | 22,939 | 15 |
| 15 | მოგება 1877 წლისა . . . . . . . . . . . . . | — | — | 5,571 | $90^{1}/_{2}$ |
| | ბალანსი . . . . | — | — | 1.605,068 | 70 |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Мартъ 1878 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.